# გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს!




ნახ. გ. იაშვილისა.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 39 (3523)

25 თებერვალი, 1968 წ. კვირა.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 24-ე წელი.

სსრ კავშირის ხალხთა IV საიუბილეო სპარტაკიადის ჩემპიონი, მახაჩყალელი იური შახმურადოვი წარმატებით ჭიდაობს თბილისის საერთაშორისო ტურნირში. სურათზე თქვენ ხედავთ ირანელ აბასისთან (წაქცეულია) მისი შეხვედრის მომენტს.

ფოტო ა. კოტორაშვილისა.



[მეჯიბრების ანგარიში იხ. მე-4 გვ.]

## ჩვენს დიდ ქვეყანაში

## მრავლდება ჯანმრთელობის საამქროები

**მაგადანი.** მაღაროელთა დასახლება შახტიორსკში გაიხსნა შიგნიანი ჰოკეის დახურული მოედანი, რომელიც პირველია ჩუკოტკაზე.

**ბარნაული.** ალტაის მხარეში პირველ ზამთრის საცურაო აუზს „დელფინი" უწოდეს. ამ აუზის ბატონ-პატრონები ქვაბის-ქარხნის სპორტსმენები არიან.

**იუჟნო-სახალინსკი.** აქ მწყობრში ჩადგა ამ მკაცრ მხარეში პირველი სპორტის სასახლე. საცურაო აუზთან და დარბაზებთან ერთად მას აქვს საკუთარი კინოთეატრიც, სადაც სპორტის თემაზე შექმნილ დოკუმენტურ და მხატვრულ ფილმებს უჩვენებენ. სასახლემ უკვე მოიხვეჭა პოპულარობა. სექციებში ყოველდღიურად ათასზე მეტი სპორტის მოყვარული მეცადინეობს. სპორტსკოლაში 400-ზე მეტი ბავშვი ჩაეწერა.

**ლიპეცკი.** აქაურმა სპორტსმენებმა ამ წელიწადში უკვე მეორე სპორტის სასახლე მიიღეს — უშენ ადგილზე აღმართულ „პალაცს" აქვს დიდი დარბაზი, საცურაო აუზი, საჭადრაკო კლუბი. მთავრდება კიდევ სამი სასახლის მშენებლობა. ეს დარბაზები ნოვოლიპეცკის მეტალურგიული და სატრაქტორო ქარხნების, აგრეთვე, ქარხანა „სვობოდნი სოკოლის" სპორტსმენთა საკუთრება იქნება.

**ბაქო.** წლევანდელი წელიწადი მდიდარია სპორტული მშენებლობით. მალე მწყობრში ჩადგება რესპუბლიკაში პირველი ნიჩბოსნობის აუზი, რომელიც ზღვისპირა პარკში შენდება. საუცხოოდ მოწყობილ ბაზას მიიღებენ ბაქოს „ნეფტიანიკის". ფეხბურთელები. ორჯერ გაიზრდება გულშემატკივრებისთვის გამოყოფილი „საბინაო ფართობი" კიროვაბადის „დინამოს" სტადიონზე, სადაც მასპინძლები — უმაღლესი ლიგის დებიუტანტები ქვეყნის უძლიერეს გუნდებს შეხვდებიან. ბაქოელმა არქიტექტორებმა დაიწყეს საცხენოსნო მანეჟის დაპროექტება.

**ვოლგოგრადი.** ქარხანა „კრასნი ოქტიაბრის" მეტალურგთა დასახლებაში დაიწყო ჩვენს ქვეყანაში ერთ-ერთი უდიდესი საცურაო აუზის მშენებლობა. ამ აუზში ყველა ასაკის ათასობით ადამიანს შეეძლება ვარჯიში. ტრიბუნები 3 ათას მაყურებელს დაიტევს. საინტერესოა, რომ ახალი აუზის მშენებლობის თანხა (ნახევარი მილიონი) ქარხნის ფონდიდან გამოიყო.

**ჩერკასი.** ქალაქის მშენებლებმა „კოლგოსპნიკის" საოლქო საბჭოს ხელმძღვანელებს ჩააბარეს „ოქროს გასაღები", რომლის სიგრძეც ნახევარი მეტრია. ეს ნიშნავს, რომ ახალი სპორტის სასახლე ექსპლოატაციისათვის მზადაა. ამ სასახლეს აქვს ორი ვრცელი დარბაზი სპორტული თამაშობებისთვის, ძალოსნობისა და კრივის მოედნები, დიდი საცურაო აუზი.

◆ **მეხელბორგი**, 24 თებერვალი. დღეს აქ, „ულევის" სტადიონის ყინულის ბილიკებზე დაიწყო მოციგურავე ვაჟთა მსოფლიო ჩემპიონატი. 500 მეტრზე სწრაფრბენაში ოქროს მედალი მოიხვეჭა იაპონელმა სუძუკიმ — 40,3, II ადგილზეა ბლეჩფორდი (აშშ) — 40,6, III — სხენკი (ჰოლანდია) — 41,2. საბჭოთა სპრინტერი კაპლანი VII ადგილზეა. 5000-მეტრიან დისტანციაზე თავი ისახელა ნორვეგიელმა მაიერმა — 7.25,0. ორი დისტანციის შემდეგ ლიდერობს სხენკი.

## [illegible] საათი

◆ ლესელიძე, 24 თებერვალი. „ენძელას" თასზე დღეს აქ ერთმანეთს შეხვდნენ სსრ კავშირის ჩემპიონი ფეხბურთში — კიევის „დინამო" და მოსკოვის „ტორპედო". მატჩის ბოლო წუთზე ერთადერთი გადამწყვეტი ბურთი მეტოქეთა კარში გაიტანა ტორპედოელმა სტრელცოვმა.

◆ მოსკოვი, 24 თებერვალი. ჩოგბურთელთა აქ მიმდინარე ტრადიციულ ტურნირში დამთავრდა ქალთა წყვილების ასპარეზობა. გაიმარჯვეს გ. ბაკშეევამ და ა. დმიტრიევამ. ხვალ ვაჟთა ფინალში ერთმანეთს შეხვდებიან ა. მეტრეველი და თ. ლეიუსი, ხოლო ქალთა შორის — გ. ბაკშეევა და ინგლისელი ტ. უეიდი.

◆ **ოკლენდი, 24 თებერვალი.** მოსკოველმა ვ. გავრილოვმა კვლავ დაამარცხა უძლიერესი ამერიკელი სიმაღლეზე მხტომელები, ამჯერად — აშშ-ს აქ გამართულ ზამთრის მძლეოსნურ პირველობაში. იგი პირველივე ცდით ლამაზად გადაევლო 216 სანტიმეტრზე გადებულ თამასას. გავრილოვი ამერიკის შეერთებული შტატების ჩემპიონი გახდა — მან 3 სანტიმეტრით აჯობა ს. კელისა და ე. კარაზერსს. უნდა აღინიშნოს, რომ მოსკოველმა მძლეოსანმა „ტრადიციას" არ უღალატა — რამდენჯერაც კი გამოსულან საბჭოთა მხტომელები აშშ-ს ზამთრის ღია ჩემპიონატში, იმდენჯერ გამხდარან ჩემპიონები. სიგრძეზე ხტომაში II ადგილი დაიკავა ტალინელმა ტ. ლეპიკმა — 792 სმ. მან ჩამოიტოვა მსოფლიოს რეკორდსმენი რ. ბოსტონი, თუმცა წინ გაუშვა მეორე ამერიკელი ზანგი მხტომელი ბ. ბიმონი (822 სმ). ჭოკით ხტომაში სსრ კავშირის რეკორდსმენმა, ხარკოველმა გ. ბლიზნეცოვმა III ადგილი მოიპოვა, რომელმაც II ადგილი ცდების მიხედვით დაუთმო ფინელ ე. მუსტაკარის (ორივეს შედეგია 488 სმ). გაიმარჯვა ამერიკელმა დ. ფილიპსმა — 520 სმ. ბედმა უმუხთლა ევროპის ჩემპიონს, ბერძენ ქ. პაპანიკოლაუს: მას ჭოკი გაუტყდა და იძულებული იყო მაყურებლებს შეერთებოდა. უხეიროდ გამოვიდნენ საბჭოთა მორბენლები. 60 მეტრზე ვლადისლავ სოპეია მხოლოდ მეექვსე იყო (6,2 წამი). აქ ყველას აჯობა მოსკოვიდან ახლახან დაბრუნებულმა ბ. ჰეინსმა (6,1). ოლეგ რაიკომ ერთ მილზე წინასწარ გარბენში მარცხი იწვნია (4.13,3). საბჭოთა მხტომელი ქალები ტ. ტალიშევა და ★ ოკოროკოვა ჯერ არ გამოსულან.

[illegible] საათი

## [illegible]

## ინგლისელებმა საწადელს მიაღწიეს

გუშინ გლაზგოს „ჰემპდენ-პარკის" მინდორზე ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატის ბოლო შერჩევით მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ VIII ჯგუფის წარმომადგენლები — შოტლანდიისა და ინგლისის ნაკრები გუნდები.

**შოტლანდია:** სიმპსონი, გემელი, მაკ-ნილი, მაკკინონი, მაკ-კრიდი, გრეგი, ბრემნერი, კუკი, ჰიუზი, ვ. ჯონსტონი, ლენოქსი.

**ინგლისი:** ბენქსი, ნიუტონი, ლებონი, მური, უილსონი, მალერი, რ. ჩარლტონი, პიტერსი, ბოლი, ჰერსტი, სამერბი.

ინგლისელებმა თავიდან მწვავედ შეუტიეს მეტოქეს და აიძულეს იგი დაცვაზე გადახულიყო. მასპინძლებმა თამაში უმთავრესად კონტრიერიშებზე ააგეს და ლენოქსმა ბურთიც კი გაიტანა, მაგრამ იგი ჰოლანდიელმა არბიტრმა არ ჩათვალა ლენოქსის თამაშგარე მდგომარეობის გამო.

მე-20 წუთზე პიტერსის უძლიერესი დარტყმის შემდეგ ბურთი შოტლანდიელთა კარში აღმოჩნდა — 1:0.

შემდეგ ინიციატივა მასპინძელთა მხარეს გადავიდა, რომელთაც გულშემატკივრები ყურთასმენის წამლები ღრიალითა და სიმღერით ამხნევებდნენ (კომენტატორთა აზრით, „ჰემპდენ-პარკზე" ამგვარი აჟიოტაჟი არასოდეს ყოფილა). რამდენიმე სახიფათო შეტევის შემდეგ, 39-ე წუთზე ჰიუზმა თავური დარტყმით ანგარიში გაათანაბრა — 1:1.

შესვენების შემდეგ ორივე გუნდი ბევრს უტევდა, მაგრამ ინგლისელებს გოლის გატანის უფრო რეალური შანსები ჰქონდათ. შესანიშნავად ითამაშა პიტერსმა, რომლის დარტყმების შემდეგ მასპინძელთა კარი ხასწაულებრივ გადაურჩა გოლებს.

• მატჩის მიწურულში, შოტლანდიელთა გააფთრებული ცდების მიუხედავად, ანგარიში არ შეცვლილა და ინგლისელებმა საწადელ ფრეს მიაღწიეს. 3 აპრილს ისინი ლონდონის „უემბლიზე" პირველ მეოთხედფინალურ მატჩში შეხვდებიან ესპანეთის ნაკრებს.

(საქ. ინფ.)

# თვალსაჩინო შეუსაბამობა

**სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადებში გუნდური ჩათვლის სისტემის საკითხისთვის**

პირად-გუნდურ შეჯიბრებებში გუნდური ჩათვლის რამდენიმე სისტემა არსებობს და ეს ყოველთვის რაღაც ქულების დაჯამებაა.

გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გუნდურ ჩათვლაში პირველობა შეიძლება განისაზღვროს სამიზნეებზე მოგროვილი ქულების, აწეული კილოგრამების, დამუშავებული ცხრილების მიხედვით დაგროვილი ქულების ჯამით (როგორც ეს ხდება მძლეოსნობაში, ციგურაობაში და ა. შ.), ქულები შეჯიბრების მონაწილეთა მიერ დაკავებული ადგილების რიგითი ნომრებით გამოჰყავთ. ასე ხდება ჭიდაობაში, კრივში, ფარიკაობაში, ცურვაში და, საერთოდ, სპორტის იმ სახეობათა უმეტესობაში, რომლებიც სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადების პროგრამაში შედიან, აგრეთვე, მსოფლიო პირველობებში, არაოფიციალურ ოლიმპიურ ჩათვლაში და სხვ.

ამ სისტემას რამდენიმე ვარიანტი აქვს: 1. როცა I ადგილი ფასდება 1, II—2, III—3 ქულით და ა. შ. ამ თანმიმდევრობით; 2. როცა პირველი ადგილი 17 ქულით ფასდება (სსრ კავშირის სპარტაკიადაში მონაწილე გუნდების რიცხვის მიხედვით), მეორე ადგილი — 16, მესამე — 15 ქულით და ა. შ. დამავალი თანმიმდევრობით; 3. როცა პირველი ადგილი ფასდება 7, II —5, III — 4 ქულით და ა. შ. მეექვსე ადგილი ამ შემთხვევაში 1 ქულით ფასდება, VII და სხვა ადგილებს კი შეფასება საერთოდ არ ეძლევა. ესაა მსოფლიო პირველობებში და არაოფიციალური ოლიმპიური ჩათვლის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული სისტემა.

ყველა ეს სისტემა აგებულია შემთხვევითობაზე. არალოგიკურია და ხშირად მოასპარეზე გუნდების შეფარდებით ძალას სწორად არც ასახავს.

ავიღოთ ჭიდაობის მაგალითი. ვთქვათ, რვაკაციან გუნდში (წონითი კატეგორიების შესაბამისად) 5 ჩემპიონია. თუ შემთხვევითობას არ გავყვებით, შეიძლება დარწმუნებით ითქვას, რომ ეს გუნდი მოუგებს ყველა დანარჩენს ასეთი ანგარიშით მაინც — 5:3.

მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადის სისტემას მივიღებთ, ის გუნდიც კი, რომელიც შეჯიბრების ჯამში შვიდ (!) პირველ ადგილს დაიკავებს, ერთი მე-17 ადგილის გამო გუნდურ ჩათვლაში შეიძლება მესამე აღმოჩნდეს და წააგოს იმ გუნდებთან, რომლებსაც არც ერთი ჩემპიონი არა ჰყავთ. შეიძლება თუ არა, რომ ეს სისტემა ლოგიკურად ჩაითვალოს?

აი, ეს მაგალითი:

ერთ გუნდს აქვს შვიდი I და ერთი მე-17 ადგილი.

მეორე გუნდს — შვიდი III და ერთი II ადგილი.

მესამე გუნდს — ოთხი II, ერთი III და სამი IV ადგილი.

გამოვიანგარიშოთ:

პირველი გუნდი — 7×17+1=120 ქულას — III ადგილი;

მეორე გუნდი — 7×15+16=121 ქულას — II ადგილი;

მესამე გუნდი — (4×16)+(3×14)+15=121 ქულას —I ადგილი.

სისტემა, როცა 1 ადგილი 1 ქულით და ა. შ. ფასდება, იგივე უსწორო, ოღონდ შებრუნებული სისტემაა.

განვიხილოთ მოყვანილ მაგალითს ამ ჩათვლის სისტემის მიხედვით.

პირველი გუნდი — 7×1+17=24 — III ადგილი;

მეორე გუნდი — 7×3+2=23 — II ადგილი;

მესამე გუნდი — (4×2)+(3×4)+3=23—I ადგილი (ამ შემთხვევაში იგებს გუნდი, რომელიც ქულათა მინიმუმს მოაგროვებს).

გარდა ამ ნაკლისა, არც ერთი ვარიანტი არ გვაძლევს განსხვავებას შეფარდებით ღირებულებაში მაღალ და დაბალ ადგილებს შორის. ესე იგი, განსხვავება მაღალ და დაბალ ადგილებს შორის ცხრილის ნებისმიერ ადგილზე ერთ ქულას უდრის. ამგვარად, თუ ფინალში ორი ქულა წააგო და პირველის მაგიერ მესამე ადგილი დაიკავა, გუნდს შეუძლია ეს მდგომარეობა იმით გამოასწოროს, რომ მეორე წონით კატეგორიაში მეტოქეს მე-17 ადგილის მაგიერ მე-15 ადგილი მოუგოს. ეს კი აშკარა უაზრობაა.

არაოფიციალური ოლიმპიური ჩათვლა ამ უაზრობის გამოსწორების ცდაა. ამ ჩათვლის დროს I და II ადგილებს შორის განსხვავება 2 ქულაა, დანარჩენ ადგილებს შორის კი 1 ქულა, ესე იგი, არის ცდა, რომ დიფერენცირებულ იქნას ობიექტური ღირებულება ზედა და ქვედა ადგილებს შორის. თუმცა ის, რაც სულ ზევით კეთდება, შემდგომ შენარჩუნებული არ არის. ეს კი, თავის მხრივ, ბევრ გაუგებრობას იწვევს: IV ადგილი ქულებით უთანაბრდება V და VI ადგილებს, I ადგილი — III და IV ადგილებს. გამოდის, რომ IV ადგილს პირველ ადგილთან შედარებით უპირატესობა ენიჭება, III ადგილი კი IV და VI ადგილს უდრის, ესე იგი, ამ თვალსაზრისით, არც პირველ ადგილს შეესაბამება და არც მეოთხეს.

ის გარემოება, რომ მონაწილეთა ადგილები VI ადგილს შემდეგ უკვე ვეღარ ახდენენ გავლენას გუნდურ ჩათვლაზე, სპარტაკიადის ჩათვლაში არ გამოგვადგება. სწორედ ამის გამო ჩვენ დავამუშავეთ და გთავაზობთ ცხრილს, რომელსაც არა აქვს ზემოჩამოთვლილი სისტემების ნაკლი.

ცხრილი ამ პრინციპზეა აგებული: პირველი ადგილისათვის გუნდს 1.000 ქულა ეძლევა, შემდეგი ადგილისთვის 750 ქულა, ესე იგი, პირველ ციფრზე მეოთხედით ნაკლები. III ადგილი გამოითვლება იმავე გზით 750 ქულიდან და ა. შ.

აი, ეს ცხრილიც:

| | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| I | ადგ. | 1000 | ქულა | IX | ადგ. | 100 | ქულა | XVII | ადგ. | 10 | ქულა |
| II | „ | 750 | „ | X | „ | 75 | „ | XVIII | „ | 7,5 | „ |
| III | „ | 562 | „ | XI | „ | 56 | „ | XIX | „ | 5,6 | „ |
| IV | „ | 422 | „ | XII | „ | 42 | „ | XX | „ | 4,2 | „ |
| V | „ | 316 | „ | XIII | „ | 32 | „ | XXI | „ | 3,2 | „ |
| VI | „ | 237 | „ | XIV | „ | 24 | „ | XXII | „ | 2,4 | „ |
| VII | „ | 178 | „ | XV | „ | 18 | „ | XXIII | „ | 1,8 | „ |
| VIII | „ | 134 | „ | XVI | „ | 13 | „ | XXIV | „ | 1,3 | „ |
| | | | | | | | | XXV | „ | 1 | „ |

ამ სისტემას არა აქვს სხვა სისტემებისთვის დამახასიათებელი ნაკლოვანებები, კერძოდ:

1. ცხრილის ზედა ნაწილში ადგილების შეფარდებითი ღირებულება დიფერენცირდება ქვედა ნაწილთან შეფარდებით.

2. გუნდების ადგილებს განსაზღვრავენ არა პირველ წრეებში, როცა ყველაზე სუსტი მონაწილეები ეთიშებიან შეჯიბრებას, არამედ ფინალში გასვლისთვის ბრძოლაში. ამგვარად, უძლიერესი გუნდი არ წააგებს შეჯიბრებას გამოთიშული მონაწილის მიზეზით.

3. ადგილის შეფარდებითი ღირებულება ერთგვარია. ამგვარად, მაღალ ადგილზე მდგომს მუდამ უგებს ერთი ადგილის შემდეგ მდგომი ორი მონაწილე. მაგალითად: პირველს — ორი მესამე, მეშვიდეს — ორი მეცხრე და ა. შ.

ეს სისტემა მოხერხებულია პერიოდულობითაც: ყოველი რვა ადგილის შემდეგ ციფრები ერთი რიგით მეორდება.

მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს იმის დასტურად, რომ სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადაში მიღებულმა სისტემამ ობიექტურად ვერ გადაწყვიტა გამარჯვების ბედი.

(იხილეთ ქვემოთმოყვანილი სქემები).

ზედა რიგში მოყვანილია სპარტაკიადის წესებით, ხოლო ქვედაში ჩვენი ცხრილის მიხედვით მიღებული ქულები. შუა რიგში წინ მდგარი ციფრი აღნიშნავს შესაბამის წონით კატეგორიაში მოპოვებულ ადგილს.

როგორც პირველი მაგალითიდან ჩანს, მოსკოვის გუნდმა, რომელსაც არც ერთი პირველი ადგილი არ მოუპოვებია, მოუგო რსფსრ-ს გუნდს, რომელსაც 3 ჩემპიონი ჰყავდა (ამ გუნდის ქვემსუბუქი წონის მოჭიდავემ X ადგილი დაიკავა).

უკრაინის გუნდმა მოუგო საქართველოს ნაკრებს. პირველს ერთი ჩემპიონი ჰყავს და ერთი III ადგილი დაიკავა, მეორეს 2 ჩემპიონი ჰყავს და ერთი II ადგილი დაიკავა. ამგვარად, გუნდის ბედი გადაწყვიტა არა უძლიერეს სპორტსმენთა გამოსვლამ, არამედ ქვემძიმე და უმჩატესი წონების მოჭიდავეთა წარუმატებლობამ.

ჩვენი სისტემით ადგილების განაწილება ასე შეიცვლებოდა: 1. რსფსრ (ოლქები), 2. რსფსრ (მოსკოვი), 3. საქართველო, 4. უკრაინა. განვიხილოთ მეორე მაგალითი: საქართველოს გუნდმა, რომელსაც ორი ჩემპიონი ჰყავდა, ჰქონდა ერთი მეორე და ორი მესამე ადგილი ქვემსუბუქ და მჩატე წონებში წარუმატებლობის გამო. წააგო ლენინგრადის გუნდთან, რომელსაც არც ერთი ჩემპიონი არ ჰყავდა, ჰქონდა სამი მეორე და ერთი მესამე ადგილი.

ამგვარი მაგალითების დასახელება კიდევ შეიძლება, მაგრამ, ჩვენი აზრით, ისედაც ყველაფერი ნათელია.

და მაინც, ერთი საკითხი გაურკვეველი დარჩა. რატომ მივიღეთ ერთი მეოთხედიდან გამოთვლის სისტემა? ჩვენი აზრით, ასეთი რიგი უფრო სწორად ასახავს ადგილების შეფარდებით ღირებულებას. ასეთი რიგი უფრო უახლოვდება მსოფლიო პირველობების და არაოფიციალური ოლიმპიური ჩათვლის სისტემას, ჩვენ კი უმთავრესად სწორედ ამ ღონისძიებებისთვის უნდა მოვამზადოთ სპორტსმენები.

შევადაროთ ეს სისტემები, ამასთან, მეტი თვალსაჩინოებისათვის ჩვენი სისტემა ავიღოთ მეორე ადგილიდან (ამ სისტემის გამოყენება ცხრილის ყოველი ადგილიდან შეიძლება).

| ადგილი | [illegible] | ახალი სისტემა |
|---|---|---|
| 1 | 7 | 750 |
| 2 | 5 | 562 |
| 3 | 4 | 422 |
| 4 | 3 | 316 |
| 5 | 2 | 237 |
| 6 | 1 | 178 |

თუ მიზნად დავისახავთ, რომ მაღალი ადგილების შეფასება უფრო მკაფიოდ გამოვყოთ, ამოსავალ ციფრს მეტი პროცენტი უნდა გამოვაკლოთ. მაგალითად, თუ გამოვაკლებთ დაახლოებით 29 პროცენტს და ციფრებს რამდენადმე დავამრგვალებთ, შეიძლება შემოვიღოთ სისტემა, სადაც უმაღლესი ადგილი უდრის ერთის შემდეგ მომდევნო ორ ადგილს. მაგალითად, I — ორ მესამე, II — ორ მეოთხე ადგილს და ა. შ.

ი. ალიხანოვი,
პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი.



1965 წელს ორიოლში შეიქმნა საოლქო საჭადრაკო კლუბი, რომელსაც ჭადრაკის დიდი მოტრფიალის, გამოჩენილი რუსი მწერლის ი. ტურგენევის სახელი მიეკუთვნა. კლუბის თანამშრომლები დიდ მუშაობას ეწევიან ჭადრაკის პროპაგანდისათვის ორიოლსა და მთელ ოლქში.

კლუბს 300-მდე წევრი ჰყავს. მათთან კვირაში ორჯერ ტარდება მეცადინეობა, ყოველწლიურად იმართება საქალაქო და საოლქო ტურნირები.

ორიოლის მოჭადრაკეებთან ხტუმრად ყოფილან დ. ბრონშტეინი, ბ. სპასკი და სხვა დიდოსტატები. თავისი არსებობის მანძილზე კლუბმა 8 ოსტატობის კანდიდატი და 150-ზე მეტი პირველთანრიგოსანი მოამზადა.

სურათზე: ქალთა წრის წევრთა მეცადინეობა.
ფოტო ი. რაბინოვიჩისა (საქდესი).

## პირველი მაგალითი

| გუნდები | უმჩატესი | მჩატე | ქვემსუბუქი | მსუბუქი | ქვესაშუალო | საშუალო | ქვემძიმე | მძიმე | ქულები | ადგილი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| რსფსრ (მოსკოვი) | 15<br>3<br>562 | 15<br>3<br>562 | 14<br>4<br>442 | 16<br>2<br>750 | 15<br>3<br>562 | 14<br>4<br>442 | 16<br>2<br>750 | 15<br>3<br>562 | 120<br>4632 | I<br>II |
| რსფსრ (ოლქები) | 17<br>1<br>1000 | 14<br>4<br>442 | 8<br>10<br>75 | 13<br>5<br>316 | 12<br>6<br>237 | 17<br>1<br>1000 | 17<br>1<br>1000 | 16<br>2<br>750 | 114<br>4820 | II<br>I |
| უკრაინა | 13<br>5<br>316 | 11<br>7<br>178 | 15<br>3<br>562 | 17<br>1<br>1000 | 14<br>4<br>442 | 13<br>5<br>316 | 6<br>12<br>42 | 14<br>4<br>442 | 103<br>3298 | III<br>IV |
| საქართველო | 5<br>13<br>32 | 17<br>1<br>1000 | 17<br>1<br>1000 | 11<br>7<br>178 | 13<br>5<br>316 | 16<br>2<br>750 | 9<br>9<br>100 | 13<br>5<br>316 | 101<br>3692 | IV<br>III |

## მეორე მაგალითი

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| რსფსრ (ლენინგრადი) | 14<br>5<br>316 | 15<br>4<br>422 | 16<br>3<br>562 | 8<br>11<br>56 | 13<br>5<br>237 | 17<br>2<br>750 | 17<br>2<br>750 | 17<br>2<br>750 | 117<br>3843 | I<br>II |
| საქართველო | 18<br>1<br>1000 | 11<br>8<br>134 | 7<br>12<br>42 | 16<br>3<br>562 | 17<br>2<br>750 | 18<br>1<br>1000 | 12<br>7<br>178 | 16<br>3<br>562 | 115<br>4228 | II<br>I |

## [illegible]

**თბილისი**

„განთიადის" მოსწავლეთა მეორე პირველობაში, რომელიც ახლახან დამთავრდა, 20 ნორჩი მოჭადრაკე მონაწილეობდა. I ადგილი დაიკავა მ. ჭიპაშვილმა (მე-100 სკოლა) — 16 ქულა, II — დ. ქობალიამ (23-ე სკოლა) — 15,5, III — დ. კაჭახიძემ (მე-17 სკოლა) — 14,5.

ო. ალხანიშვილი.

**სოხუმი**

აფხაზეთის თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა პირად-გუნდურ პირველობაში სოფლის სპორტსმენთა შორის გაიმარჯვეს სოხუმის რაიონის წარმომადგენლებმა. წონითი კატეგორიების მიხედვით პირველი ადგილები დაისაკუთრეს: ნ. ლვონჯილიამ, მ. ზაქარაიამ, შ. ჩხეტიანმა, ბ. მეფარიშვილმა, ნ. არქანიამ, რ. ჯახუამ, ჯ. კოპალიანმა და ა. მალანიამ.

შ. ჯალაღონია.

**მცხეთა**

გაიმართა რაიონის პირადგუნდური პირველობა ქართულ ჭიდაობაში ს. კანდელაკის სახელობის გარდამავალ თასზე. გუნდურ ჩათვლაში პირველობა წილად ხვდა გლავნის მოჭიდავეთა პირველ კოლექტივს, რომლის წევრებმაც 7 წონით კატეგორიაში იმარჯვეს. ჩემპიონები გახდნენ: ვ. გაბინაშვილი, ო. ბარნოვი, ზ. რომელაშვილი, ა. წიკლაური, ნ. წიკლაური, ნ. რომელაშვილი, ფ. ედიშერაშვილი, თ. წოწონაშვილი.

გ. მამულაშვილი.

**ზესტაფონი**

ჩატარდა ადგილობრივი და ხაშურის ბავშვთა სპორტული სკოლების კალათბურთელთა ასპარეზობა. გოგონათა შორის გამარჯვება წილად ხვდათ სტუმრებს — 43:30, ვაჟებში კი — მასპინძლებს — 62:54.

ა. განუგრავა.

**წალენჯიხა**

ტურიზმის რესპუბლიკური საბჭოს გადაწყვეტილებით ამას წინათ აქ გაიხსნა ტურისტული კლუბი. იგი მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს რაიონში ტურიზმის ფართოდ დანერგვას, ტრანსპორტითა და სხვადასხვა საშუალებით დაეხმარება ადგილობრივ ექსკურსანტებს.

ო. ხალია.

**ქარელი**

აქ დამთავრდა ქარელის რაიონის მოჭადრაკე ვაჟთა პირველობა, რომლის ფინალში 6 კაცი შეხვდა ერთმანეთს. უძლიერესის სახელი დაისაკუთრა ა. შალუტაშვილმა (კომკავშირის რაიკომის თანამშრომელი), II ადგილი ხვდა ა. ჯაბიშვილს, III — ტ. ქობესოვს (ორივე — ზღუდრის საშუალო სკოლა).

შ. ზარჯაძე,
ქარელის რაიონის სპორტკავშირის თავმჯდომარე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ოლიმპიადამდე და მის შემდეგ

პროგნოზები, წინასწარმეტყველება დიდ სპორტულ ღონისძიებათა მუდმივი თანამგზავრია, ამიტომ არავის გაუკვირდება, როცა ზამთრის ოლიმპიური თამაშების გახსნამდე რამდენიმე დღით ადრე ამერიკულმა ჟურნალმა „სპორტს ილუსტრეიტედმა" 5 თებერვალს... დაბეჭდა ამ ოლიმპიადის საბოლოო შედეგები. ეს იყო მეტად საინტერესო პროგნოზები, რომელიც 13 სახეობაში აბსოლუტურად გამართლდა, 14 სახეობაში კი—ნაწილობრივ (ჟურნალის მიერ დასახელებული სავარაუდო ჩემპიონი პრიზიორთა შორის მოხვდა). „სპორტს ილუსტრეიტედის" წინასწარმეტყველთა ავტორიტეტს არც ის ბღალავს, რომ 7 სახეობაში პროგნოზი სავსებით მცდარი გამოდგა.

მაშ ასე, მივყვეთ კვალდაკვალ ჟურნალის აზრს და ვნახოთ, რამდენად დაშორდა ან მიუახლოვდა იგი სინამდვილეს. ქალთა ციგურაობაში პროგნოზისტებმა გამოიცნეს მხოლოდ ერთი ჩემპიონის ვინაობა. დანარჩენები პრიზიორთა შორის მოხვდნენ:

**500 მ. პროგნოზი: დ. ჰოლამი (აშშ). ჩემპიონი: ლ. ტიტოვა (სსრ კავშირი).** ჰოლამმა თავის თანამემამულეებთან მ. მეიერსთან და დ. ფიშთან ერთად ვერცხლის მედალი მოიპოვა. ეს ტრიო ოლიმპიურ ჩემპიონს 0,2 წამით ჩამორჩა.

**1000 მ. პროგნოზი: ლ. ტიტოვა (სსრ კავშირი). ჩემპიონი: კ. ჰეისენი (ჰოლანდია).** ტიტოვა ამ სახეობაში II საპრიზო ადგილზე გავიდა.

**1500 მ. პროგნოზი: ს. კაიზერი (ჰოლანდია). ჩემპიონი: კ. მუსტონენი (ფინეთი).** ჰოლანდიელმა მოციგურავემ მხოლოდ ბრინჯაოს მედალი დაისაკუთრა.

**3000 მ. პროგნოზი: ა. სხუტი (ჰოლანდია). ჩემპიონი: ა. სხუტი.** ამ შემთხვევაში პროგნოზისტთა წინასწარმეტყველება ზუსტი გამოდგა.

ჟურნალის აზრი კიდევ უფრო კომპეტენტური აღმოჩნდა ვაჟთა ციგურაობაში. აქ ორ სახეობაში აბსოლუტურად სწორი პასუხი იქნა გაცემული.

**500 მ. პროგნოზი: ნ. ბლეჩფორდი (აშშ). ჩემპიონი: ე. კელერი (გფრ).** მსოფლიო რეკორდსმენის ე. კელერის უგულვებელყოფა ამ სახეობაში ძნელი იყო. ჟურნალს, როგორც ჩანს, ობიექტურობის გრძნობამ უმტყუნა, როცა I ადგილზე თავისი თანამემამულე დაასახელა. ბლეჩფორდმა გრენობლში V-VII ადგილები გაიყო. მას აჯობა მეორე ამერიკელმა მაკდერმოტმა, რომელმაც ნორვეგიელ ტომასენთან ერთად ვერცხლის მედალი დაისაკუთრა.

**1500 მ. პროგნოზი: კ. ფერკერკი (ჰოლანდია). ჩემპიონი: კ. ფერკერკი.**

**5000 მ. პროგნოზი: ფ.-ა. მაიერი (ნორვეგია). ჩემპიონი: ფ.-ა. მაიერი.**

**10000 მ. პროგნოზი: ფ.-ა. მაიერი (ნორვეგია). ჩემპიონი: ი. ჰეგლინი (შვეცია).** ეს იყო გრენობლის ერთ-ერთი სენსაცია. სტაიერული დისტანციების მეფემ 3 მესამედი წამი წააგო სრულიად უცნობ შვეციელთან და ოლიმპიურ ტურნირში ვერცხლის მედალი დაისაკუთრა.

ჟურნალი დიდად არც ფიგურულ ციგურაობაში შემცდარა. ქალთა და წყვილთა ასპარეზობის ჩემპიონები მან სწორად დაასახელა, ვაჟთა შედეგის გამოცნობაში კი შეცდა. მაგრამ ამ შეცდომას ალბათ ყველა სპეციალისტი დაუშვებდა.

**ქალები. პროგნოზი: პ. ფლემინგი (აშშ). ჩემპიონი: პ. ფლემინგი.** აქ წინასწარმეტყველება არც ისე ძნელი საქმე იყო: დღესდღეობით ამერიკელი ფიგურისტი თავის მთავარ მეტოქეებზე მთელი თავით მაღლა დგას. ასე რომ, მისი გამარჯვება ეჭვს არც ოლიმპიადის დაწყებამდე იწვევდა.

**ვაჟები. პროგნოზი: ე. დანცერი (ავსტრია). ჩემპიონი: ვ. შვარცი (ავსტრია).** თანამემამულეთა მრავალი წლის დავა ბოლოსდაბოლოს შვარცის სასარგებლოდ გადაწყდა, მაგრამ ვინ იფიქრებდა, რომ ე. დანცერი ოლიმპიადაზე მხოლოდ IV ადგილს დასჯერდებოდა? აი, ესეც გრენობლის მეორე სენსაცია.

**წყვილები. პროგნოზი: ლ. ბელოუსოვა, ო. პროტოპოპოვი (სსრ კავშირი). ჩემპიონები: ლ. ბელოუსოვა, ო. პროტოპოპოვი.**

„სპორტს ილუსტრეიტედის" პროგნოზები მეტად ორიგინალური გამოდგა სამთოსათხილამურო სპორტში. ჟურნალმა 4 სახეობაში ჩემპიონის ვინაობა ზუსტად ამოხსნა, ორ სახეობაში კი სინამდვილესთან ახლოსაც ვერ მივიდა.

**სწრაფდაშვება (ვაჟები). პროგნოზი: ჟ.-კ. კილი (საფრანგეთი). ჩემპიონი: ჟ.-კ. კილი.**

**გიგანტური სლალომი (ვაჟები). პროგნოზი: ჟ.-კ. კილი (საფრანგეთი). ჩემპიონი: ჟ.-კ. კილი.**

**სპეციალური სლალომი (ვაჟები). პროგნოზი: ჟ.-კ. კილი (საფრანგეთი). ჩემპიონი: ჟ.-კ. კილი.**

**სწრაფდაშვება (ქალები). პროგნოზი: ო. პალი (ავსტრია). ჩემპიონი: ო. პალი.**

**სპეციალური სლალომი (ქალები). პროგნოზი: ჰ. გაბლი (ავსტრია). ჩემპიონი: მ. გოიჩელი (საფრანგეთი).** ავსტრიელი მოთხილამურე, რომელიც ჟურნალმა ჩემპიონად წარმოადგინა, პრიზიორთა ექვსეულშიც ვერ მოხვდა.

**გიგანტური სლალომი (ქალები). პროგნოზი: მ. გოიჩელი (საფრანგეთი). ჩემპიონი: ნ. გრინი (კანადა).** მართალია, გოიჩელი ამ სახეობაში პრიზიორთა ექვსეულში ვერ მოხვდა, მაგრამ ჟურნალის ხდომა მაინც გაამართლა. პროგნოზისტებს „შეემალათ" იმ სლალომის დასახელება, რომელიც ფრანგ სამთომოთხილამურეს უნდა მოეგო. ეს არც ისეთი დიდი დანაშაული და უვიცობაა.

მხტომელთა ასპარეზობამ გააწბილა არა მარტო ჟურნალი და მისი წინასწარმეტყველნი, არამედ აბსოლუტურად ყველა სპეციალისტი. მცირე ტრამპლინს კიდევ არა უშავს რა—საყოველთაო ფავორიტმა, ნორვეგიელმა ბ. ვირკოლამ IV ადგილი მაინც დაიკავა. დიდი ტრამპლინის შედეგი კი ოლიმპიადის მთავარ სენსაციად იქცა. ამაში „დანაშაული" მიუძღვის შესანიშნავ საბჭოთა სპორტსმენს, ოლიმპიადამდე ყველასათვის უცნობ ვ. ბელოუსოვს, რომელმაც თამაშების დახურვის დღეს, ერთ საათში არნახული პოპულარობა მოიხვეჭა.

**ხტომა 70 მ ტრამპლინიდან. პროგნოზი: ბ. ვირკოლა (ნორვეგია). ჩემპიონი: ი. რაშკა (ჩეხოსლოვაკია).** ნორვეგიელი, როგორც ზემოთ ვთქვით, მხოლოდ IV ადგილზე გავიდა.

**ხტომა 90 მ ტრამპლინიდან. პროგნოზი: ბ. ვირკოლა (ნორვეგია). ჩემპიონი: ვ. ბელოუსოვი (სსრ კავშირი).** ფავორიტი ექვსეულში ვერ მოხვდა.

სათხილამურო რბენებში პროგნოზები ნაწილობრივ გამართლდა, თუმცა აბსოლუტურად სწორი პასუხები აქაც რამდენიმე იყო.

**30 კილომეტრი. პროგნოზი: კ. ლაურილა (ფინეთი). ჩემპიონი: ფ. ნონესი (იტალია).** აი, ოლიმპიადის კიდევ ერთი, მთავარი სენსაცია. ფავორიტმა მხოლოდ VI ადგილი დაიკავა.

**ბიატლონი (პირადი). პროგნოზი: ი. ისტადი (ნორვეგია). ჩემპიონი: მ. სოლბერგი (ნორვეგია).** მართალია, ისტადი ექვსეულშიც ვერ მოხვდა, მაგრამ ნორვეგიელებს ეს ალბათ არ წყენიათ, რადგან ჩემპიონობა მისმა თანაგუნდელმა მოიპოვა.

**ბიატლონი (ესტაფეტა). პროგნოზი: ნორვეგია. ჩემპიონი: სსრ კავშირი.**

**ორჭიდი. პროგნოზი: ფ. კელერი (გფრ). ჩემპიონი: ფ. კელერი.**

**15 კილომეტრი. პროგნოზი: ო. მარტინსენი (ნორვეგია). ჩემპიონი: ჰ. გრიონინგენი (ნორვეგია).** ფავორიტი საპრიზო ექვსეულის მიღმა დარჩა.

**ესტაფეტა 4×10 (ვაჟები). პროგნოზი: ნორვეგია. ჩემპიონი: ნორვეგია.**

**ესტაფეტა 3×5 (ქალები). პროგნოზი: სსრ კავშირი. ჩემპიონი: ნორვეგია.** სსრ კავშირის გუნდი III ადგილზე გავიდა.

**50 კილომეტრი. პროგნოზი: ო. ელეფსეტერი (ნორვეგია). ჩემპიონი: ო. ელეფსეტერი.**

**5 კილომეტრი (ქალები). პროგნოზი: რ. აჩკინა (სსრ კავშირი). ჩემპიონი: ტ. გუსტაფსონი (შვეცია).** საბჭოთა მოთხილამურე, რომელიც ჟურნალმა ოლიმპიურ ჩემპიონად მიიჩნია, მხოლოდ VI ადგილზე გავიდა.

**10 კილომეტრი (ქალები). პროგნოზი: ა. კოლჩინა. ჩემპიონი: ტ. გუსტაფსონი (შვეცია).**

**ბობსლეი (ოთხიანები). პროგნოზი: ავსტრიის გუნდი (მესაჭე ე. ტელერი). ჩემპიონი: იტალიის გუნდი (მესაჭე ე. მონტი).** გასაკვირია, რატომ მიანიჭეს პროგნოზისტებმა უპირატესობა ავსტრიელებს, როცა იტალიის განთქმულ ოთხეულს სათავეში ედგა ცხრაგზის მსოფლიო და ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი ე. მონტი?

**ბობსლეი (ორიანები). პროგნოზი: ავსტრიის წყვილი (ლიდერი ე. ტელერი). ჩემპიონი: იტალიის დუეტი (ლიდერი ე. მონტი).** ჟურნალმა აქაც ანალოგიური შეცდომა დაუშვა. როგორც ჩანს, მას სწამდა ე. ტელერის და მისი თანაგუნდელებისა.

**მარხილები (ვაჟები). პროგნოზი: თ. კიოლერი (გდრ). ჩემპიონი: მ. შმიდტი (ავსტრია).** გერმანელმა სპორტსმენმა ვერცხლის მედალი მოიპოვა.

**მარხილები (ქალები). პროგნოზი: ო. ენდერლაინი (გდრ). ჩემპიონი: ე. ლეხნერი (იტალია).**

Xes JEUX OLYMPIQUES D'HIVER GRENOBLE 1968

**ზამთრის X ოლიმპიური თამაშების ექო**



ო. პალი (ავსტრია) სწრაფდაშვების ტრასაზე.

# გრენობლმა ესტაფეტა საპოროს გადასცა

ოლიმპიური ცეცხლი, რომელიც ორ კვირას გიზგიზებდა გრენობლის თავზე, ჩაქრა. დაეშვა ზამთრის X ოლიმპიური თამაშების ალამი. 37 ქვეყნის სპორტსმენებმა დატოვეს ოლიმპიური სოფელი. ჟურნალისტებმა ბოლო კორესპონდენციები გადასცეს და შინ გაეშურნენ. ყველა სტუმარს სასიამოვნო მოგონებად გაჰყვება მისი მოსახლეობისა და ოლიმპიადის ორგანიზატორთა სტუმართმოყვარეობა. მათ ყველაფერი გააკეთეს, რომ შეჯიბრება უმაღლეს დონეზე, კუბერტენის ანდერძის სულისკვეთებით ჩატარებულიყო.

ზამთრის X თამაშები თეთრი ოლიმპიადების ისტორიაში პირველად იქცა არა მარტო სპორტულ დღესასწაულად, არამედ კულტურის ფესტივალადაც. გამოფენები, კონცერტები, სპორტსმენთა შეხვედრები ხელოვნების ოსტატებთან და გრენობლის მშრომელებთან მეგობრობისა და ამხანაგობის უაღრესად გულთბილ ატმოსფეროს ქმნიდა. სამწუხაროდ, ახალგაზრდობის, სილამაზისა და ჯანღონის ამ მშვენიერ ზეიმს ჩრდილი მიაყენა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის უცნაურმა გადაწყვეტილებამ, რომელმაც სამხრეთ აფრიკის რასისტებს მეხიკოს ოლიმპიური თამაშების კარი გაუღო. სპორტსმენთა უმრავლესობა აღაშფოთა ამ სამარცხვინო გადაწყვეტილებამ, რომელიც მრავალი ქვეყნის დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად მიიღეს. დიდი შთაბეჭდილება მოახდინა საბჭოთა ოლიმპიური კომიტეტის პროტესტმა, რომელიც აქ ოლიმპიადის ოფიციალურ დოკუმენტად გავრცელდა.

რა გვიჩვენეს X თეთრ ოლიმპიადაზე საბჭოთა სპორტსმენებმა? მათ სამშობლოში წაიღეს ოქროსა და ვერცხლის 5-5 და ბრინჯაოს 3 მედალი. წინა თამაშებიდან უკეთესი ნადავლით დავბრუნდით. იმედი ვერ გაგვიმართლეს ჩვენმა მოციგურავეებმა. ინსბრუკში მათ ხუთი პირველი პრიზი დაიმსახურეს, გრენობლში კი მხოლოდ მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის სტუდენტმა ლ. ტიტოვამ მოიპოვა ოქროს მედალი. საბჭოთა მოციგურავეებიდან ერთადერთმა მან დაისაკუთრა ვერცხლის მედალიც.

ოტრასში თავი ვერ გამოიჩინეს ჩვენმა მრბოლელებმაც. მათ ვერცხლის 2 და ბრინჯაოს 1 მედალი მიიღეს. ქების ღირსია ვ. ვედენინი, რომელიც ვ. კუზინის ღირსეულ მემკვიდრედ შეიძლება ჩაითვალოს. ოლიმპიადის საზეიმო დახურვის დღეს მან გადაეცა ვერცხლის მედალი 50 კილომეტრზე რბოლაში II ადგილზე გასვლისთვის. გაგვახარეს ბიატლონისტებმაც. მათ ოქროს მედალი მოიპოვეს ესტაფეტაში, ვერცხლისა და ბრინჯაოსი — პირად ჩათვლაში. ორჭიდელები კი უხეიროდ გამოვიდნენ.

საბჭოთა ფიგურისტების გამარჯვება წყვილთა სრიალში სენსაცია არ იყო, ამას ყველა წინასწარმეტყველებდა. და მაინც, ისეთი უპირატესობა, როგორსაც ლ. ბელოუსოვამ და ო. პროტოპოპოვმა, ტ. ჟუკმა და ა. გორელიკმა მიაღწიეს, მოულოდნელი გახლდათ. „მათ იმდენად გაუსწრეს დასავლეთგერმანელებს გლოკსჰუბერსა და დანეს, — წერდა ფრანგული სპორტული გაზეთი „ეკიპი", — რომ აშკარაა: უახლოეს წლებში საბჭოთა ფიგურისტებს სერიოზული საფრთხე არ ემუქრებათ".

აი, რას წერს წყვილთა სრიალში შეჯიბრების შედეგებზე გაზეთი „დოფინე დიმანში": „საბჭოთა სკოლა გამსჭვალულია რომანტიკის სულით, ამერიკული სკოლა კი მიუზიკ-ჰოლიდან იღებს შთაგონებას და რამდენადაც კუნთებს უფრო დიდ მნიშვნელობას ანიჭებს, ვიდრე გულს, დამარცხდა კიდეც".

ჰოკეისტთა ტურნირი დრამატიზმით იყო აღსავსე. მარცხის სიმწარეს ვერც ერთი გუნდი ვერ ასცდა. და მაინც, საერთო აზრით, გამარჯვება უძლიერესს ხვდა.

„ეჭვი არ არის, რომ ამ ტურნირში რუსების გუნდი ყველაზე ძლიერი იყო, — წერს „დოფინე დიმანში". — კოლექტიურმა თამაშმა დაჯაბნა ინდივიდუალიზმი. კანადელებმა გადამწყვეტ მატჩში ვერ გაუძლეს რუსების მიერ შეთავაზებულ ჯოჯოხეთურ ტემპს. მესამე პერიოდში სსრ კავშირის გუნდის თამაშმა კანადელებს ქანცი გაუწყვიტა და მათ უკვე ვეღარაფერი იღონეს რუსული გრიგალის წინააღმდეგ".

ტრადიციით, ჰოკეის მიმომხილველებმა ტურნირის საუკეთესო მოთამაშეთა დასადგენად ანკეტა მოაწყვეს. 50-დან 46 ჟურნალისტმა საუკეთესოდ ა. ფირსოვი დაასახელა.

ოლიმპიადის საზეიმო დახურვის დღეს გრენობლში კიდევ ერთხელ გაისმა საბჭოთა კავშირის ჰიმნი. იგი შესრულდა ვ. ბელოუსოვის პატივსაცემად, რომელმაც საბჭოთა სპორტის ისტორიაში პირველად გაიმარჯვა დიდი ტრამპლინიდან ხტომაში.

12 დღის მანძილზე სპორტის მოყვარულთა მზერა გრენობლისკენ იყო მიმართული. 12 დღის მანძილზე ყოველი ჩვენგანი სპორტსმენებთან ერთად იყოფდა წარუმატებლობის წუხილს და გამარჯვების სიხარულს. და ჩვენ ყველას გული დაგვწყვიტა ოლიმპიადასთან განშორებამ. მაგრამ ეს განშორება არც ისე ხანგრძლივია: წინაა მეხიკოს ოლიმპიური თამაშები, ოთხი წლის შემდეგ კი კვლავ აფრიალდება ალამი და აგიზგიზდება თეთრი ოლიმპიადის ჩირაღდანი: გრენობლმა იაპონიის ქალაქ საპოროს გადასცა ესტაფეტა.

**ი. გოჩკარიოვი,**
**ზ. კონოვალიუკი.**



შეტევაზეა ა. ფირსოვი (მარცხნივ).

# „ეკიპის" ცნობით

საფრანგეთის გაზეთმა „ეკიპმა" გრენობლის თეთრი ოლიმპიადის დამთავრების შემდეგ საინტერესო ცნობა გამოაქვეყნა. ამ ცნობაში ნათქვამია, რომ ოლიმპიადის შეჯიბრებებს ყველა ბაზაზე დაესწრო 623.680 კაცი. ყველაზე მეტმა მაყურებელმა 18 თებერვალს მოიყარა თავი სენ-ნიზიეში. იმ დღეს 90-მეტრიანი ტრამპლინიდან მხტომელთა შეჯიბრებას 58.850 კაცი დაესწრო. მაყურებელთა სიმრავლის მიხედვით II ადგილზეა ყინულის სტადიონი,—17 თებერვალს სსრ კავშირ—კანადისა და შვეცია—ჩეხოსლოვაკიის ჰოკეისტთა გუნდების მატჩებს 31.800 მაყურებელი ჰყავდა.

ბოლოს გაზეთი აღნიშნავს, რომ ოლიმპიადის დღეებში გრენობლს 40 ათასზე მეტი სტუმარი ეწვია საფრანგეთის სხვა რაიონებიდან და მეზობელი ქვეყნებიდან.

# ტრადიციული ტურნირის ორი მხარე

თბილისის საერთაშორისო ტურნირმა ბევრ საბჭოთა და უცხოელ მოჭიდავეს მისცა დიდი სარბიელის საგზური. წინა ტურნირებს გულთბილად, მადლობის გრძნობით იგონებენ მონღოლეთის მოჭიდავეები, რომლებიც სწორედ ჩვენს ქალაქში დაუახლოვდნენ საქვეყნოდ ცნობილ ათლეტებს, დაეუფლნენ თავისუფალი ჭიდაობის უმაღლეს ოსტატობას. დღეს მონღოლეთის ათლეტები მტკიცედ უახლოვდებიან საჭიდაო ოლიმპს, სადაც მანამდე სულ რამდენიმე ქვეყნის რჩეულებს ჰქონდათ დამკვიდრებული ადგილი. დიახ, იზრდება მსოფლიო ჩემპიონატებისა და ოლიმპიური ტურნირების პრიზიორთა წრე, ფართოვდება გეოგრაფია. ის, რაც გუშინ საერთო გაკვირვებას იწვევდა, დღეს ჩვეულებრივ ამბად იქცა. სწორედ ამიტომ, თბილისის მაყურებლებმა ღირსეულად შეაფასეს მსუბუქი წონის მონღოლი მოჭიდავე არტაკის გამარჯვება ირანელ მოენისთან. მაყურებელმა ტაშით დააჯილდოვა არტაკი, რადგან მან ბრწყინვალე სტილში, წმინდად მოუგო ერთ-ერთ აღიარებულ ფავორიტს.

უმძიმესი წონის ათლეტი მებიუსი (გდრ) თბილისის საერთაშორისო ტურნირში უკვე მესამედ გამოდის. მართალია, სამშობლოში მან ვერც ერთხელ ვერ წაიღო ჯილდო, მაგრამ ტურნირში მონაწილეობაზე უარის თქმას არც მომავალში აპირებს, ვინაიდან ამ ასპარეზობას, სპორტს გარდა, სხვა უფრო დიდ მნიშვნელობასაც ანიჭებს: თბილისის ტრადიციული ტურნირის ერთ-ერთი მთავარი დევიზი ხომ ხალხთა შორის მეგობრობის განმტკიცებაა.

თბილისელებმა იციან ჭიდაობის გემო და ყადრი. ამიტომაც სპორტის სასახლეში შეკრებილი აურაცხელი გულშემატკივარი მოუთმენლად ელოდა სსრ კავშირის ხალხთა IV სპარტაკიადის ჩემპიონის შახმურადოვის გამოსვლას. შახმურადოვს ჩვენს სარბიელზე ბევრჯერ უჭიდავია, მაგრამ მაშინ აქ ახალგაზრდა, ნიჭიერი ათლეტის ოსტატობას აკლდა სინატიფე და დამაჯერებლობა. დრომ ეს ნაკლი შეავსო და შახმურადოვი, როგორც მოჭიდავე, თვისობრივად შეიცვალა. საბჭოთა კავშირის ხალხთა IV საიუბილეო სპარტაკიადაში უკვე ჩამოყალიბებულმა, მრავალმხრივმა ოსტატმა ერთხელ კიდევ ცხადყო თავისი მაღალი კლასი. აი, სწორედ ასეთი შახმურადოვი იხილა გუშინწინ თბილისელმა მაყურებელმა, იხილა საკმაოდ ძლიერ მეტოქესთან (ირანელ ა. აბასისთან) შერკინებისას. ფავორიტმა, რა თქმა უნდა, გაიმარჯვა და საკმაოდ დამაჯერებლადაც (აშკარა უპირატესობით). ცამეტივე ქულა შახმურადოვმა რომ სამ სამწუთიან რაუნდში დააგროვა, ლამაზი და სიმპათიური მოჭიდავის მაღალი ოსტატობის დასტური იყო.

უმძიმესი წონის მოჭიდავე შეყრილაძემ, როგორც ყოველთვის, ახლაც ტაქტიკურად სწორად წარმართა ბრძოლა თავისი ძველი მეტოქის — მოკანის წინააღმდეგ. სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადაში ამ ორი ათლეტის დავა მოკანის სასარგებლოდ გადაწყდა, რომელმაც დაისაკუთრა კიდევ II საპრიზო ადგილი. გუშინწინ მოკანმა ბრძოლა თავიდანვე აქტიურად დაიწყო და მოჭადრაკეების ენით რომ ვთქვათ, დებიუტში ერთგვარ უპირატესობას მიაღწია. შეყრილაძე დაჰყვა მეტოქის სითამამეს და როცა მოკანმა ხალიჩის ბატონ-პატრონად იგრძნო თავი და სიფრთხილე დაივიწყა, შეყრილაძემ იგი სასტიკად დასაჯა, მართალია, მოკანი წმინდა წაგებას გადაურჩა, მაგრამ ეს ერთადერთი საუკეთესო გამოსავალი იყო მისთვის.

**ნ. გუგუშვილი.**

* * *

მოგვყავს პირველი წრის ტექნიკური შედეგები:

**უმძიმესი:** ჰეიდარიმ (ირანი) ქულებით დაამარცხა — სურენჟავი (მონღოლეთი), დიმიტროვმა (სსრ კავშირი) — მებიუსი (გდრ), ბიდაშვილმა (სსრ კავშირი) — ლასლო (ჩეხოსლოვაკია).

**მძიმე:** მაქსიმჩენკომ (სსრ კავშირი) მოუგო პატრიკოვს (ბულგარეთი), აბდულბაგერმა (ირანი) — ჩერტკოვს (სსრ კავშირი). კოველსკი (პოლონეთი) — ჩუმაკოვის (სსრ კავშირი) ჭიდილი ფრედ დამთავრდა.

**ნახევრადმძიმე:** ზახაროვმა დაამარცხა კაზახოვი (ორივე — სსრ კავშირი), ყვარელაშვილმა (სსრ კავშირი) — მარინკოვი (იუგოსლავია), ტოდოროვმა (ბულგარეთი) — რაგჩაა (მონღოლეთი), მირიკოვმა (სსრ კავშირი) — ენგელი (იუგოსლავია). ქარსაულიძე (სსრ კავშირი) — ხაჩქაზემის (ირანი) ორთაბრძოლა ფრედ დამთავრდა.

**მსუბუქი:** ბაგაევმა მოუგო აირაპეტიანს (ორივე — სსრ კავშირი), კარლსონმა (შვეცია) — მარინოვს (ბულგარეთი). ხოხაშვილ—შავლოხოვის (ორივე — სსრ კავშირი) შეხვედრა ფრედ დამთავრდა.

**ნახევრადსაშუალო:** ბიმბალოვმა (ბულგარეთი) დაამარცხა დავაგსურენი (მონღოლეთი), სუსტიროვმა (ბულგარეთი) — ბოჩოლომი (მონღოლეთი). ასლამაზიშვილ — თედიაშვილისა (ორივე — სსრ კავშირი) და კროპ (პოლონეთი) — ლალიევის (სსრ კავშირი) შეხვედრები ფრედ დამთავრდა.

**საშუალო:** პაპაშვილმა (სსრ კავშირი) მოუგო მუნხბატს (მონღოლეთი), დუგლაძემ (სსრ კავშირი) — შტოტმაისტერს (გდრ). მოროზოვ — სურიკოვის (ორივე — სსრ კავშირი) და დოლჩევ (ბულგარეთი) — საჰრაის (ირანი) შეხვედრები ფრედ დამთავრდა.

**ნახევრადმძიმე:** ბორუკაევმა წმინდად მოუგო შეხოვს (ორივე — სსრ კავშირი), მოსეშვილმა (სსრ კავშირი) ქულებით — ბახმანს (გდრ), გულიუტკინმა (სსრ კავშირი) — ამირის (ირანი). ტიხონოვ (სსრ კავშირი) — ტოდოროვის (ბულგარეთი) ჭიდილი ფრედ დამთავრდა.

**მძიმე:** ვასილევმა (ბულგარეთი) ქულებით დაამარცხა აიუგი (ირანი). გოგნაძე — მიშურას (ორივე—სსრ კავშირი) შეხვედრა ფრედ დასრულდა.

* * *



**სურათზე:** შოთა პაპაშვილს კრიტიკულ მდგომარეობაში ჩაუგდია მუნხბატი.

ფოტო ა. კოტორაშვილისა.

თბილისის საერთაშორისო...



რ. პეტროვი
(მწვრთნელი, ბულგარეთი)



ი. კარლსონი
(შვეცია)



მოჰამედ ათ საპრი
(ირანი)

მეგობრული შარჟები შ. ზანიძისა.

ფეხბურთი

## „ენძელას“ თასზე

## „ლოკომოტივი“ მოწონებას იმსახურებს

თბილისი. „ლოკომოტივის“ სტადიონი. 24 თებერვალი.

„ლოკომოტივი“ (თბილისი) — „დინამო“ (კიროვაბადი) 2:0 (1:0).

**„ლოკომოტივი“:** გრძელიშვილი, მირიანაშვილი, ონიანი, ფრიდმანი, გეგეჭკორი, ძაგანია, პელიძე, ჰეიშვილი (გვასალია), მიქაშავიძე, ლოლობერიძე (ხახუტაძე, მესხაძე), მელიქიძე.

**„დინამო“:** სულეიმანოვი (ჰუსეინოვი), ნამაზოვი, ლიუბარსკი, ფალკოვსკი (მამედოვი), ბატრაევი, მაგერამოვი, კასუმოვი, მურიტოვი, სალახოვი, ფილატოვი, სტუპინინი (ტრაშბაევი).

მსაჯი ა. მილჩენკო (სოხუმი).

გუშინდელი მატჩი „ენძელას“ თასზე გარკვეულ ინტერესს წარმოადგენდა მაყურებელთათვის: კიროვაბადის „დინამო“ უმაღლესი ლიგის დებიუტანტია და თბილისის დინამოელთა ერთ-ერთი პირველი მოწინააღმდეგე საკავშირო ჩემპიონატში. ამდენად, მისი „გასინჯვა“ გათამაშების დაწყების წინ აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენდა ჩვენთვის. მაგრამ პირდაპირ უნდა ითქვას: სტუმართა გუნდმა სახარბიელო შთაბეჭდილება ვერ დატოვა. მართალია, ტურნირი „სოვეტსკი სპორტის“ პრიზზე წინასასეზონო წვრთნას წარმოადგენს და მასში მონაწილე გუნდები მატჩის მოგებაზე გაცილებით უფრო სერიოზული ამოცანების წინაშე დგანან, მაგრამ კიროვაბადელთა შორის ვერ ვიხილეთ მოთამაშეები, რომელთა ინდივიდუალური კლასი ეფარდებოდეს კოლექტივის მიერ მოპოვებულ ადგილს უძლიერესთა შორის. თუმცა, სეზონი წინაა და ყველაფერს კალენდარული მატჩები გადაწყვეტს...

ჩვენმა გუნდმა კი — „ლოკომოტივმა“ — ერთობ კარგი შთაბეჭდილება დატოვა. როგორც ჩანს, იგი სრული პასუხისმგებლობით და საფუძვლიანად ემზადება წინამდებარე გათამაშებისთვის. მასში ახალგაზრდებიც არიან და ძველი მოთამაშეები მათთან შეხამებაში ახლებურად, შარშანდელზე გაცილებით უფრო მომგებიანად გამოიყურებიან. თბილისელები თითქმის მთელი მატჩის მსვლელობაში ფლობდნენ ინიციატივას.

ანგარიში პირველ ტაიმში გახსნა მიქაშავიძემ, რომელმაც კარგად გამოიყენა მელიქიძის გადაცემა და სულეიმანოვის შეცდომაც, ხოლო მატჩის დასასრულს ძაგანიამ კარის მაღალ კუთხეში შესანიშნავი დარტყმით დააგვირგვინა საჯარიმო ბურთის გათამაშება.

**რ. ქორიძე.**

## ცვლილებანი „ა“ კლასში

როსტოვის არმიელ ფეხბურთელთა უფროს მწვრთნელად დანიშნულია გ. პინაიჩევი.

# 64 უჯრის რაინდები

**ბელგია.** ქვეყნის ჩემპიონის სახელი მოიპოვა ვან სეტერსმა — 8,5 ქულა 11-დან.

* * *

**ესპანეთი.** ქვეყნის პირველობაში 17 კაცი მონაწილეობდა. მრავალგზის ჩემპიონი მედინა II ადგილზე გავიდა. ამჯერად ჩემპიონი გახდა ფერნანდესი.

* * *

**იტალია.** საერთაშორისო ოსტატმა ტატაიმ მესამედ მოიპოვა იტალიის ჩემპიონის სახელი. პირველობაში, რომელშიც 12 მოჭადრაკე მონაწილეობდა, მან 9 ქულა მოაგროვა.

* * *

**პოლონეთი.** საერთაშორისო ოსტატებს დოდასა და სლივას შორის მოეწყო დამატებითი მატჩი ქვეყნის ჩემპიონის გამოსავლინებლად. გაიმარჯვა დოდამ — 2,5:0,5.

* * *

**აშშ.** ქ. ატლანტაში ჩატარდა აშშ-ს 68-ე ღია ჩემპიონატი, რომელშიც 168 კაცმა მიიღო მონაწილეობა. პირველობა შვეიცარიული სისტემით (12 ტური) გათამაშდა. ჩემპიონის ვინაობა მხოლოდ დასკვნით ტურში გაირკვა. ესაა დიდოსტატი ბენკო — 11 ქულა. II ადგილზეა სეიდი — 10,5, III — რ. ბირნი — 9,5.

* * *

**ფინეთი.** ქვეყნის პირველობა ოსტატ ოიანენის გამარჯვებით დასრულდა.

**შვედეთი**

ქ. ხანკოში ჩატარდა ჩრდილოეთის ქვეყნების ტრადიციული ტურნირი. I-III ადგილები გაიყვეს სვედენბორგმა, ჰოენმა (ორივე —ნორვეგია) და ტორგბერსონმა (ისლანდია) — თვითეულს 7,5 ქულა 11-დან.

* * *

**გფრ.** მიუნჰენში ელვისებური თამაშის VI ტრადიციული საერთაშორისო ტურნირში 7 ქვეყნის 223 მოჭადრაკე მონაწილეობდა, შედეგები: I. დონერი (ჰოლანდია), II. შმიდი, III. კლუნდი, IV, პფლეგერი (სამივე — გფრ), V. პახმანი (ჩეხოსლოვაკია).

გფრ-ის პირველობაში I-II ადგილები ბესერმა და ჰიუბნერმა გაიყვეს.



▲ **ალტენბერგი.** ბიატლონისტთა საერთაშორისო ესტაფეტაში 4×7,5 კილომეტრზე ყველას გდრ-ის სპორტსმენებმა აჯობეს — 2:38.57.

## ამოცანა

ვ. კალანდაძე (თბილისი)



შამათი 4 სვლაში.

**რედაქტორი მ. კაკაბაძე.**

ИНДЕКС 66448 • საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა ლენინის ქ. № 14. 8 უე 03962